# ნერვულ სნეულებათა პროპედევტიკის და ტოპიკური დიაგნოსტიკის დეპარტამენტი



პროფესორი მაია ბერიძე
დეპარტამენტის ხელმძღვანელი



ასოცირებული პროფესორი ოთარ სამუშია



ასისტენტ-პროფესორი მარინე ქორთუშვილი



ასისტენტ-პროფესორი ეკა დევიძე



თსსუ-ის ნეირომედიცინის დეპარტამენტის ნერვულ სნეულებათა პროპედევტიკისა და ტოპიკური დიაგნოსტიკის მიმართულება საწყისს იღებს სამკურნალო ფაკულტეტის ნერვულ სნეულებათა კათედრიდან, რომელიც დაარსდა 1920 წელს სახელწოდებით "ნერვების სნეულებათა კათედრა კლინიკით".

კათედრის გამგეები იყვნენ პროფესორები: იაკობ ანფიმოვი (1920-1925), სვიმონ ყიფშიძე (1925-1953), პეტრე ქავთარაძე (1953-1966), ალექსი მინდაძე (1966-1986), ავთანდილ ლაჭყეპიანი (1986-1994), ნინო ნინუა (1994-2004), ივანე ვერულაშვილი (2004-2006);

2006 წელს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს შეუერთდა საქართველოს სახელმწიფო სამედიცინო აკადემია. ამ სასწავლებლების ნერვულ სნეულებათა კათედრების რეორგანიზების შედეგად ჩამოყალიბდა მედიცინის ფაკულტეტის ნეირომედიცინის დეპარტამენტი, მის ხელმძღვანელად დანიშნული იქნა ნერვულ სნეულებათა მიმართულების სრული პროფესორი ივანე ვერულაშვილი.

2009 წელს აღნიშნული სტრუქტურა გადაკეთდა ნეირომედიცინის დეპარტამენტის პროპედევტიკისა და ტოპიკური დიაგნოსტიკის მიმართულებად, რომლის ხელმძღვანელი 2015 წ.–მდე იყო სრული პროფესორი ივანე ვერულაშვილი.

2015 წლიდან დღემდე ნევროლოგიის მიმართულების პროპედევტიკისა და ტოპიკური დიაგნოსტიკის დეპარტამენტს ხელმძღვანელობს პროფესორი მაია ბერიძე.

1920-1940 წლებში კათედრა შეისწავლიდა კლინიკური ნევროლოგიის სამხარეო პათოლოგიის (პელაგრა, მალარია, ტუბერკულოზი) პრობლემებს. კათედრის თანამშრომლები ამუშავებდნენ ვეგეტოპათოლოგიისა და ნერვული სისტემის დაავადებათა დიაგნოსტიკის საკითხებს.

1940-1960 წლებში კვლევა ძირითადად, მიმდინარეობდა თავისა და ზურგის ტვინის ტრავმის და პერიფერიული ნერვული სისტემის ცეცხლსასროლი იარაღით მიყენებულ დაზიანებათა შესწავლის მიმართულებით. 50-60-იან წლებში კათედრაზე მუშავდებოდა თავის ტვინში სისხლის მიმოქცევის მოშლის სინდრომები, დიაგნოსტიკური მიზნით იზოტოპების გამოყენება, სპაზმური დამბლების მექანიზმი და მკურნალობა და სხვ.

# ნერვულ სნეულებათა პროპედევტიკის და ტოპიკური დიაგნოსტიკის დეპარტამენტი

1960-1980-იან წლებში კათედრაზე შეისწავლებოდა ნერვული სისტემის ოჯახურ-მემკვიდრეობითი დაავადებები, სისხლძარღვთა დაავადებათა სხვადასხვა ფორმა, ნერვული სისტემის ინფექციათა კლინიკური თავისებურებანი; ნეიროინფექციების გავრცელება და მკურნალობა, თავის ტვინში სისხლის მიმოქცევის მოშლის თავისებურებები, დაავადებების ნევროლოგიური სიმპტომოკომპლექსი, პათოგენეზი და სხვ.

2006-2015 წწ. მიმართულების სამეცნიერო თემატიკა იყო “ცერებრული ვენური პათოლოგიის დიაგნოსტიკის და მკურნალობის ოპტიმიზაცია”. მიმართულების თანამშრომლები მონაწილეობენ, აგრეთვე, სამეცნიერო საერთაშორისო კვლევებში.

2015 წლიდან დღემდე დეპარტამენტი მუშაობს დემიელინიზაციით მიმდინარე დაავადებების, კერძოდ გაფანტული სკლეროზის მკურნალობის საკითხებზე, ასევე იშემიური და ჰემორაგიული ინსულტების მკურნალობის საკითხებზე.

ამჟამად დეპარტამენტი მუშაობს დიპლომამდელი და სარეზიდენტო პროგრამებით, შედგენილია შესაბამისი სილაბუსები.

კლინიკური კვლევები:

1) 2007-2010 წწ. როსტოკის უნივერსიტეტის ხელმძღვანელობით მიმდინარე, ევროკომისიის დასპონსორებული საერთაშორისო სამეცნიერო-კლინიკური კვლევა “SIFAP – Stroke in Young Fabry Patients”.

2) 2009-2011 წწ. ნოტინგემის უნივერსიტეტის ხელმძღვანელობით მიმდინარე საერთაშორისო სამეცნიერო-კლინიკური კვლევა “ENOS-Efficacy of Nitric Oxide in Stroke Trial (ENOS)”.

3) 2009-2011 წწ. საერთაშორისო კვლევა “ORACLE-Oral Cladribine in Patients with Multiple Sclerosis” – SANDOZ მხარდაჭერით.

4) 2014–2016წწ. ნოტინგემის უნივერსიტეტის ხელმძღვანელობით მიმდინარე საერთაშორისო სამეცნიერო-კლინიკური კვლევა ,,სამმაგი ანტიაგრეგაციის ეფექტურობა მწვავე იშემიური ინსულტების დროს –TARDIS.

5) 2015–2017 – ნოტინგემის უნივერსიტეტის ხელმძღვანელობით მიმდინარე საერთაშორისო სამეცნიერო-კლინიკური კვლევა ,,ტრანექსამის მჟავა პირველადი ინტრაცერებრული ჰემორაგიის დროს -TICH.

6) 2014-2017 -საერთაშორისო, მულტიცენტრული, პლაცებო კონტროლირებადი კვლევა (CONCERTO), ლაქვინიმოდის გამოყენება რეციდიულ-რემისიული გაფანტული სკლეროზის დროს დასპონსორებული ისრაელის კომპანია TEVA მიერ.

7) 2016-2018- საერთაშორისო რანდომული მულტიცენტრული ერთმაგი ბრმა კვლევა ფრთა –სასის კვანძის ელექტროსტიმულაციით პაციენტებში მწვავე იშემიური ინსულტით –IMPACT 25B

გამოცემული სახელმძღვანელოები

ივანე ვერულაშვილი -"კლინიკური ნევროლოგია: ზოგადი ნაწილი" (სახელმძღვანელო -
თანაავტ. ნ.ნინუა, რ.სიგუა) - გამომც. "ტრადიციული მედიცინა": თბილისი, 1997.

"ნევროლოგია: ფუნქციური ნეიროანატომია, სინდრომები, სიმპტომები" (სახელმძღვანელო) - გამომც. "ტრადიციული მედიცინა": თბილისი, 1999.

"ნევროლოგიის სახელმძღვანელო" (თანაავტ. ნინუა ნ., სიგუა რ.) - გამომც. "ფენიქსი": თბილისი, 2004.

"კლინიკური ნევროლოგიის პროპედევტიკა" _ თბილისი: "განათლება", 2006.

ამჟამად დეპარტამენტის მიერ მზადდება ახალი სახელმძღვანელო ,,ნევროლოგიის ტოპიკური დიაგნოსტიკის საფუძვლები".